წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

ხუთშაბათი, 16 ივნისი

# სამშობლო

№381

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ გვ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა

კნეინა ნინო წერეთლისა დადეშკელიანის ასული,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმათ დამწუხრებულნი ჭირისუფალნი: და კნ. მარიამი და სიძე ჯვებე დადიანი, რძლები: კნ. ელენე დადეშკელიანისა შარვაშიძის ასული, კნეინა ელისაბედ დადეშკელიანისა ანჩაბაძის ასული; დისწულები: კნეინა მარიამ წულუკიძისა ნიჟარაძის ასული, ფედოსია ქუთათელაძისა წულუკიძის ასული, აგრაფინა იასონის ასული წულუკიძისა, მიხეილ ერმალოზის ძე ნიჟარაძე, კოწია, სანდრო და ანდრო თავადი იასონის ძენი თავადი წულუკიძეები; სიძეები: თავ. გიგო სიმონის ძე წულუკიძე და ილიკო მოსეს ძე ქუთათელაძე.

პანაშვიდები საღამოს 7 საათზე. პოლიციის ქუჩა, საკუთარ სახლში. დაკრძალვის დღე შემდეგ გამოცხადდება. 2—2

ექიმი გიორგი გაბრიელის ძე ნიჟარაძე და თ-დი შოთა იასონის ძე გელოვანი გულითად მადლობას უძღვნიან იმ პირთ, რომელთაც მათ პირველის საყვარელი მეუღლის, ხოლო მეორესი ძვირფასი დის

ბაბო იასონ გელოვანის ასულის ნიჟარაძის

უდროოთ გადაცვალების გამო ღრმად დამწუხრებულთ თანაგრძნობა გაუწია პირადის დახმარებით და დეპეშა წერილებით. აგრეთვე გულითად მადლობას სწირავენ თბილისში დროებით მცხოვრებ რაჭა-ლეჩხუმელებს თანაგრძნობისათვის. 215—1—1

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 16 ივნისიდან ახალი პროგრამა.

ჩვენს მოკავშირეთა სამხედრო ქარხნებში.

ბუნებრივი.

საყვირის ხმაზე

ძლიერი დრამა მუშათა ცხოვრებიდან 3 ნაწილად.

მაშო კარგია, მაგრამ სხვისია.

კომიკური.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 20 ივნისიდან ნაჩვენები იქნება: **პატე ჟურნალი**, მიმდინარე ამბები. ველურთა ხელში ძლიერი დრამა 3 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. **სალომეს ბოლო.** კომიკური.

„რადიუმი“ აცხადებს, რომ **ა. კუპრინის** ცნობილი სურათი „**გარუჯნილების მორევი**“,

რადგან დიდ ყურადღებას იქცევს, ამიტომ თბილისში დააკავეს განმეორებით საჩვენებლათ. რის გამოც მისი ჩვენება ქუთაისში გამოცხადებულ დროზე ვერ მოხერხდა. სურათის ჩვენების დრო განსაკუთრებულად გამოცხადდება.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 16 ივნისიდან ახალი პროგრამა.

მოჩვენება

თანამედროვე დრამა 4 ნაწილად მონაწილეობას ღებულობენ: ვ. ა. პოლონსკისა, გრამოვისა და სხვ. სცენარი ე. ტისოვისა.

ადგილების ფასი „**ამპირსა**“ და „**რადიუმში**“: ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ 6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი**. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 14 ივნისი. რიგის პოზიციიდან და იქსკულის გამაგრებულ ხიდის საფართან საარტილერიო ბრძოლა იყო. ზოგ ადგილას მტერი წინ წამოსვლას ლამობდა, მაგრამ ადვილათ მოვიგერიეთ. დვინის პოზიციებიდან მტერი ცეცხლს აძლიერებდა და სვენტენის ტბის ჩრდილოეთით იერიში მოჰქონდა, რამაც ნაყოფი ვერ გამოიღო. ჯარის უფროსების ცნობით, შესანიშნავი მამაცობა გამოუჩენია პრაპორშჩიკ ნორკინსა და უნტერ-აფიცერს კონონენკოს. ნორკინი 15 ალაგას ყოფილა დაჭრილი. მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს სხვა და სხვა ალაგას და მათ შორის დვინსკშიაც. დოლჟისა და ვოლჩინოს ტბების შორის, საარტილერიო მომზადების შემდეგ, მტერმა იერიში მოიტანა ჩვენ სანგრებზე, მაგრამ მოვიგერიეთ. განმეორებითი იერიში მტრისა აგრეთვე ვერ დაგვირგვინდა მტრისათვის სასარგებლოდ და მისი წინსვლა შევაჩერეთ.

სლუცკის შარა გზაზე 13 თიბათვეს, ღამე, მცირე საარტილერიო მომზადების შემდეგ, მტერი საიერიშოდ წამოვიდა, მაგრამ სროლით უკუ ვაქციეთ. ლიპსკის სამხრეთ-დასავლეთით და ვიგონოვის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. შარიზე გადმოვიდა მტერი, მაგრამ უკანვე გავდევნეთ და წინანდელი პოზიციები დავიბრუნეთ. მდ. სტოხოდზე კოლკი – ვოგულოვკას ხაზს მტერი კვლავ მძიმე ზარბაზნებს უშენს. სამხრეთ ასპარეზე ზარბაზნისა და თოფის სროლაა.

ლუცკის სამხრეთ-დასავლეთით, მესკიჩთან არტილერიის ცეცხლით ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ, დაჭრილი მფრინავი და მზვერავი დავატყვევეთ. შუა სტრიპაზე მოწინაალმდეგე ალაგ-ალაგ მძიმე ზარბაზნებით ყუმბარებს გვიშენდა. 12 ივნისს მფრინავი პოდპორუჩიკი ორლოვი მეათედ ავიდა ჰაერში 2400 მეტრის სიმაღლეზე, დაეწია მტრის მფრინავს, შეებრძოლა და აიძულა ძირს დაშვებულიყო. ჩერნოვიცის მიმართულებით მტერი ზაბლოტუვთან მდ. დუბოვეცზე, რომელიც სამხრეთით ერთვის პრუტს, მტერი გავსდევნეთ. მდ. დნესტრზე სნოვიდუვთან ყაზახები ტიტვლები მარტო ვინტოვკით ხელში გავიდენ მეორე ნაპირას ცურვით და ხიშტებით დაერივნენ მოწინაალმდეგეს, ზოგი დახოცეს, ზოგიც დაატყვევეს და მაშველი ჯარის მისვლამდის პოზიციებიც შეინარჩუნეს. გენ. ბრუსილოვის ჯარის ბანაკიდან მიღებული ცნობებით, ტყვეთა და დავლის რაოდენობა შემდეგია: 4013 გენერალი, აფიცერი და ექიმი, 194041 ჯარის კაცი, 219 ზარბაზანი, 644 ტყვიისმფრქვეველი, 196 ყუმბარის მტყორცნელი, 146 ტყვია-წამლის ყუთი და 38 პროჟექტორი.

ბალტიის ზღვა.

ირბენის სრუტეში 13 ივნისს ჩვენი სამი ჰიდროპლანი შეებრძოლა გერმანელთა ოთხ ჰიდროპლანს, ერთი ჰიდროპლანი მტრისა ჩამოაგდეს და წყალში ჩავარდა. მტერი ცდილობდა მის გადარჩენას, მაგრამ ჩვენ დავუშინეთ ყუმბარები, დავხვრიტეთ და წყალში ჩაიძირა ჩვენი ჰიდროპლანები უვნებლად დაბრუნდენ.

კავკასიის ასპარეზი.

მდ. მალა-დერესზე (სოფ. ნურიკთან ერთვის მარჯვნით ეფრატს) არტილერიის შემწეობით მოპირდაპირე სცდილობდა წინ წამოსვლას, მაგრამ მოვიგერიეთ. მოსულის მიმართულებით, ვანის მიდამოებში, მტერი თავის პოზიციებიდან დასავლეთისაკენ განვდევნეთ.

**პარიზი.** 13 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. შამპანში, ვილსიურ ტურბის ჩრდილოეთით ფრანგთა არტილერიამ გერმანელთა სიმაგრეები დაანგრია. ვერდენის ჩრდილოეთით ქვეითა ჯარის მოქმედება არა ყოფილა. სიმაღლე „304“ მიდამოებში ცხოველი საარტილერიო ბრძოლაა. ვოგეზებში ფრანგთა ბატარეების ცეცხლმა გერმანელთა საომარ მასალის საწყობებში და შაპელოტის აღმოსავლეთით აფეთქება მოახდინა. დანარჩენ ასპარეზზე საყურადღებო არა მომხდარა.

**ჰავრი.** 13 ივნისი ბელგეთის ოფიციალური ცნობა. ნიუპორტის სამხრეთ აღმოსავლეთით და დიქსმიუდეს მიმართულებით საკმაოდ ცხოველი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. სტეენტრატესთან საარტილერიო და ხელის ყუმბარებით ბრძოლა მოხდა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

ალბანეთის ცნობილი დიქტატორი ესად ფაშა, რომელმაც 1912 წ. ოსმალეთს უღალატა და სკუტარი მთაშაველებს გადასცა, ავსტრო-გერმანელებს შეუპყრიათ. ესად ფაშისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ.

——

„რუსკ. ვედ.“ ცნობით, ვლადიმირ-ვოლინსკის დასაცავად ავსტრიის სამხედრო შტაბს 60,000 კაცი გაუგზავნია.

——

„რუსკ. სლოვო“-ში ოგლინი სწერს: „მტრის დამარცხება მხოლოდ შეთანხმებული მოქმედებით შეიძლება. დღეს, რადგან ჩვენი მდგომარეობა არსებითად გამოკეთდა, ამიტომ გვმართებს ზედმეტი დაკვირვება, რომ გამობრუნებული საქმე კვლავ ჩვენდა სასარგებლოდ დავაგვირგვინოთო“.

——

იტალიის ასპარეზზე მოჰკლეს ვენელი ჟურნალისტი ფონ-მელისი.

——

ლუცკთან მტერმა დიდი შემოტევა დაიწყო, ავსტრიის ჯარი გერმანელების ჯარით შესცვალეს,

——

დვინსკთან 9—10 ივნისს გაცხარებული საარტილერიო ბრძოლა ორივე მხარე დიდად დაზარალდა.

——

გერმანიის სოციალდემოკრატების ორგანო „ლემნიცერ ვოლკ სტუმენი“ სწერს: გერმანიის სანაპიროების ალყა გერმანიას სიკვდილის კუნძულად აქცევს, რის გამოც მშრომელ ხალხს დიდი უბედურება მოელის. ამიტომ გერმანიის სოციალდემოკრატია ვალად რაცხს თავის თავს იბრძოლოს მოპირდაპირის წინაალმდეგ, არა იმპერიალისტური თვალსაზრისით არამედ მშრომელ კლასის ინტერესების დასაცავადო“.

——

ბავარიის ერთი კორპუსი ბერლინის მთავრობამ გალიციაში გამოისტუმრა.

——

დანიის პრესა აღნიშნავს: ცენტრალ სახელმწიფოებს გადაუწყვეტიათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ.

——

გერმანელები საბერძნეთის ახალი არჩევანის დანიშვნით სრული კმაყოფილნი არიან, რადგან ზაიმისს უკიდურესი გერმანოფილად სთვლიან.

——

ბერლინის გაზეთები სწერენ: „საბერძნეთი სამხედრო ძალების დემობილზაციას არ მოახდენს, ვინაიდან ეს კერძოთ მისი ინტერესების წინაალმდეგი იქნებოდაო.

——

არაბეთში ამბოხება გრძელდება. აჯანყებულთ რკინის გზები და სიმაგრეები ხელში ჩაუგდიათ.

——

საბერძნეთის მეფე კონსტანტინე თავისი ჯარის რეორგანიზაციას მოითხოვს.

——

ათინის ქუჩებში კედლებზე აფიშები გამოაკრეს, რომელზეც დიდი ასოებით სწერია: „მეფე კონსტანტინემ დიდებული საბერძნეთის იმპერია უნდა აღადგინოსო.

——

ჩერნოვიცის ხაზზე რუსებს დიდძალი ხორბალი ჩავარდნიათ ხელში.

——

ამას წინად ვილჰელმი აღმოსავლეთის ასპარეზზე ყოფილა. ვილჰელმს ჰინდენბურგის არმიისთვის კვლავ ძველ კილოზე მიუმართავს და გაუმეორებია, ამ ცოტა ხანში უსათუოდ უნდა ავიღოთ რიგა-დვინსკი და რუსები დავამარცხოთო.

——

აღმოსავლეთის ასპარეზზე ვილჰელმს მიტავის სიმაგრეები და პრინც ლეოპოლდ ბავარელის ჯარები დაუთვალიერებია.

——

ამერიკის რესპუბლიკისა და მექსიკის შორის დამოკიდებულობა თანდათან მწვავდება. 1 ივნისს 13 ათასი მექსიკანელი ამერიკის ცხენოსანთა ჯარს დაეცა და რამდენიმე ათეული მოუკლა.

——

„ნოვ. ვრემია“ სწერს: არაბებს აჯანყებაში ინგლისი დაეხმარებაო.

——

ალბანეთში არეულობა დღითიდღე ძლიერდება ალბანელები ორ ნაწილად არიან გაყოფილი. უმეტესობა ავსტრო-გერმანიის მომხრეა, მხოლოდ უმცირესობა იტალიისა. იტალიას გადაუწყვეტია ვალონიდან თავისი ჯარები არ გაიყვანოს.

——

ვერდენთან ბრძოლა შესუსტდა. ამას გერმანიის ჯარების გალიციისკენ გადმოყვანით ხსნიან.

——

ლონდონიდან იუწყებიან: ბუჩაჩთან გერმანელებმა ავსტრიელებს 75,000 ჯარისკაცი მიაშველესო.

——

ბელგიის ასპარეზზე სამხედრო მოქმედება სრულიად შეჩერდა.

——

„რუსკ. ინვალ.“ სწერს: გერმანელებმა მთავარი ყურადღება აღმოსავლეთის ასპარეზს მიაპყრეს და ყოველგვარ ზომას ხმარობენ რუსების წინსვლა შეაჩერონო.

——

„რეჩის“, გადმოცემით, ბუკოვინა იყოფა ორ ნაწილად: აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაწილი. აღმოსავლეთის ნაწილი დაქსელილია რკინის გზებითა და გზატკეცილებით. დასავლეთის ნაწილი მეტად მოუწყობელიაო. რუსებს ამ ჟამათ აღმოსავლეთის ნაწილი უკავიათ.

——

„ბერლინერ-ტაგებლატ“-ში დაბეჭდილია ფელდმარშალ ჰინდენბურგის აზრი ბრძოლის ველზე უკანასკნელად მომხდარ ამბების შესახებ.

ჰინდენბურგს უთქვამს: რუსები თავისებურ ტემპერამენტის ხალხია, და შეტევაც თავისებური იციან. მათმა არაჩვეულებრივმა წინსვლამ ჩვენ დიდ საფრთხეში არ უნდა ჩაგვაგდოს, რადგან ჯერ კიდევ ჩვენს ხელთ არის დიდი დრო, რომ მოიერიშენი შევაჩეროთ. მით უფრო, რომ ისინი გვართმევენ ამა თუ იმ ადგილს მხოლოდ მის გამაგრებას კი არ დაეძებენო.“

**ლირწება**, сладострастье.
**ლირწი**, сладострастный.
**ლილნიო**. ყარტლი, копоть.
**ლმობა**, ტკივილი, ტანჯვა, болѣть, страдать.
**ლტოლვა**, გაქცევა, бѣжать, убѣгать.

მ.

**მაბიჯებლობა**, поступь.
**მავალი ცხოველი**, передвигающееся животное.
**მაიძულებელი**, производящій насиліе, давленіе, აქედან: მაიძულებლობა, произведенное насиліе, давленіе.
**მართლიადი**, სწორი, правильный; მართლიად, правильно.
**მარტივი**, простой.
**მარცხენე**, лѣвый.
**მარჯვე**, ловкій, приспособленный.
**მარჯვებული**, приспособленный.
**მარჯვებულება**, приспособленіе.
**მარჯვენე**, правый.
**მატულის მოქმედება**, ткачество.
**მატულის მოქმედი**, ткачъ.
**მაწუცველი** (ცხოველი), отрыгающее, изблёвывающее, жвачное (животное), სიტყვიდან: წუწვა.
**მაჭმუხველობა**, ѣдкость, терпкость შეიძლება ამას უახლოვდებოდეს სიტყვა „მჟახე" (მომჟავებული).
**მახვილი**, острый.
**მახვილის სახე**, мечевидный.
**მახლობელი**, близкій.
**მრძოლი**, непріятель.
**მგულებელი**, предполагающій, считающій, полагающій, думающій. აქედან: **მგულებლობა**, предположеніе.
**მდუმარე**, молча, молчаливый.
**მეგულების**, я полагаю, обсуждаю.
**მეგჟე**, судья.
**მედგრობა**, გაბოროტება, злоба.
**მევნე**, страдательный.
**მეძლემე**, стыдливый.
**მელახურე**, копьеносецъ.
**მემოქმედე**, дѣйствующій.
**მენაყროვნე**, გაუძღომელი, сибаритъ.
**მენაწევრეობა**, гармонія.
**მესარეოდ**, брыжейка; ჯობს: წელის ბადე.
**მესაშუალე**, посредникъ.
**მესმე**, слышавшій.
**მეცნე**, распознающій.
**მეუწყე**, узнавшій, свѣдущій.
**მეუწყი**, მაჩვენებელი, показатель.
**მეყსეულად**, сразу.
**მეჭეშმარიტეობა**, быть истиннымъ.
**მეხმარეობა**, орудіе, роль.
**მეხელოვნე**, спеціалистъ, мастеръ.
**მზადება**, производить.
**მზეებრივი**, солнцевидный.
**მზრდელობითი**, выращивающій, питающій.
**მთელობა**, здоровье.
**მთესვარე**, сѣятель, плодоноситель.
**მიბრჯენა**, опираться. აქედან იშობება ახალი ტერმინი დაბრჯენის წერტილი (დასამყარებელი, ან დასაყრდნობელი, წერტილი), точка опоры.
**მიდევნება**, послѣдовательность.
**მიდრეკა**, движеніе; მიდრკების, движется.
**მიეახლოს**, приближается.
**მიედევნების**, слѣдуетъ за. მაგალითად: სიტყვიერებითსა თან მოედევნების გონიერება.
**მიერ**, ჩვენ-ძიერ, то, что нами дѣлается.
**მიეფინების**, ბუნებაჲ მიეფინების ყოველგან, природа простирается, проникаетъ всюду, მიექმნების, возникаетъ.
**მითვალვა**, воспринимать. აქედან: მიითვალავს, воспринимаетъ, подвергается, поддается
**მიივლინების**, приключается; არა ყოველთა მცოდველთა ზედა მიივლინების, не всѣмъ преступникамъ приключается.
**მიივქნება**, передается.
**მიინაყოფებს** (ნეტარებასა), пользуется (счастьемъ).
**მიმართება**, стремится; აქედან: მიიმართება, стремится, მიმართებითი, стремящійся, относящійся къ чему; თანმიმართება, отношеніе; მიჰმართებს, относится, მაგალითად: 10 ისე მიჰმართებს 20-ს, როგორც 20—40-ს.
**მიმართი**, აღსასრულის მიმართი, то, что ведетъ къ цѣли.
**მიმდგომი**, слѣдующій за.
**მიმდრეკი**, подвижной, гибкій.
**მიმზავსებელი**, приспособленный.
**მიმზავსება**; თვსად მიმსგავსება, уподоблять себѣ.
**მიმოგონება**, размышленіе.
**მიმოგონებითი**, мыслящій.
**მიმომართებლობითი**, движущійся. აქედან ახალი სიტყვა, მიმართულება (направленіе).
**მიმოცვალება**, передвиженіе.
**მიმძლავრებული**, оскорбленный.
**მინერგული**, დანერგული, врожденный, укоренившійся.
**მისაჯეთ** კვლაჲ, გაასამართლეთ კვლჲ, осудите за убійство.
**მისწრაფება** (ქველმოქმედებისადმი), стремленіе (къ добродѣтели).
**მირთხმაჲ**, მიზიდვა, მიკვრა, прикрѣпляться. აქედან: მიირთხას, მიირთხმის.

ვასილ წერეთელი.

## პროვინციის ცხოვრება.

**დ. ახალ-სენაკი.** ივნისის შუა რიცხვებში აქ მოელიან ქუთაისის გუბერნატორს, რის გამო მაზრის უფროსმა დაიბარა ქალაქის დეპუტატები მოსალაპარაკებლად, თუ როგორი ხასიათი უნდა მიეცეს მის შეხვედრას. გადაწყვეტილი იქნა გაუმართონ სადილი.

—ამა თვის 12 ს ადგილობრივი სამკითხველოს გამგეობამ კრებაზე მსჯელობა იქონია დიდი საჯარო სეირნობის გასამართავად 24 ივნისს, რომლის სრული შემოსავალიც გადაეცემა სამკითხველოს, რომელიც ამ ბოლო დროს მატერიალურად მეტად ცუდ მდგომარეობაშია.

—ძმ. სანიკიძეების მიერ აშენებული თეატრის დარბაზი ჯერ კიდევ არის საჭიროდ დასრულებელი. ამ დღეებში მოელიან ქუთაისიდან გუბერნატორის მიერ დანიშნულ ინჟინერს, რომელმაც ეს შენობა უნდა შეამოწმოს. არსებულ დრამატიულ წრეს განზრახვა აქვს მთელ ზაფხულის განმავლობაში მოაწყოს ხუთი ქართული წარმოდგენა.

—სენაკელ ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არ აქვს. დღითიდღე უმატებენ ფასს საქონელს, სურვილისამებრ. საჭიროა ამ მოვლენას ქალაქის „მამებმა" ყურადღება მიაქციონ.

—სამეგრელოში მეტად მწვავე ხასიათი მიიღო ყაჩაღობამ. ხშირია მათთან შეტაკება. ამ დღეებში აქ ჩამოიყვანეს დაჭერილი ყაჩაღი ხ—ია.

—დაბაში ეტლები არ მოიპოება, რაც მეტად ცუდ პირობებში აყენებს ჩამოსულებსა და მგზავრებს. მიუხედავად ამისა, საქმის მოსაწესრიგებლად არავინ ზრუნავს. საჭიროა, ამასაც მიექცეს ყურადღება.

მ. ა.

## რუსეთი.

ადესაში ჩასულა სენატორი კრივცოვი, რომელმაც სამგზავრო გემის „მერკური"ს საქმე უნდა გამოიძიოს.

პროგრესიულმა ბლოკმა გადასწყვიტა ცალკე საკითხად განიხილოს გლეხთა უფლებრივი გათანასწორობის საკითხი.

— —

განათლების სამინისტროს დაუდგენია მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსების გარდაქმნა. კურსების პროგრამა ვაჟთა უმაღლეს სასწავლებლების პროგრამას გაუთანასწორდება. რუსეთის ბიუროკრატიულ წრეებში სხვადასხვა აზრის არიან სათათბიროს დათხოვნის შესახებ პრემიერი შტიურმერი სათათბიროს დაუყონებლივ დათხოვნას მოითხოვს.

7 ივნისს ქ. მოსკოვში „საქართო სისტემის" შესახებ თათბირი მოხდა. თათბირზე მოულოდნელად პოლიციელნი გამოჩნდენ და მისი დაუყონებლივ დახურვა მოითხოვეს ვარშავის სამხედრო ჰოსპიტალი გერმანელებს ყაზარმად გადაუკეთებიათ.

— —

სახ. სათათბიროში კარაულოვმა კაზაკების უუფლებობაზე ილაპარაკა. მას უპასუხა ბობრინსკიმ, რომელმაც აღნიშნა, კაზაკები კიდეც რომ უუფლებონი იყვნენ, ახლა მაინც დრო არ არის მათ უფლებებზე ვილაპარაკოთ.

## ღია წერილი ბ. „დნელს"

(გაზ. „ახ. კვ". 27 № ში მოთავსებული წერილის გამო).

წავიკითხეთ, ბ. „დნელო", თქვენ მიერ მოთავსებული წერილი გაზ. „ახალი კვალის" ორშაბათის ნომერში (№ 27), შემდეგი სათაურით: „ქუთაისის ბეჭდვითი საქმის მუშათა ცხოვრებიდან", სადაც ჩვენზეც გქონდა ლაპარაკი და მოითხოვთ, რომ ჩვენი შეცდომა შეცდომათ აღვიაროთ..

აგერ თითქმის წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ შორის, ე. ი. ძველსა და ახალ შტატს შორის, უთანხმოება სწარმოებს. არსად „მუშათა შორის" ისე არ იქნება მოთავსებული, სადაც ჩვენ არ მოგვიხსენიონ სხვადასხვა ტერმინით; ამისათვის ჩვენ, გაზ. „სამშობლოზე" მომუშავე ასოთამწყობები ერთხელ და სამუდამოთ გეკითხებით შემდეგს: ბატონებო! სანამ უნდა ვიყოთ ასეთ კინკლაობასა და ლანძღვა-გინებაში!? ნუ თუ არ ფიქრობთ მომავლისათვის კეთილ საქმეს, რომ ერთმანეთთან შეერთებით კეთილ მომავლისათვის ვიზრუნოთ?

ხოლო, ბ „დნელო", ჩვენის მხრით თქვენ და თქვენს მიერ ნახსენებ ხუთ ასოთამწყობს (რადგანაც დანარჩენ ქუთათურ ასოთ-ამწყობებს უნდობლობის თვალით უყურებ (!) ვაკუთნებთ ინიციატივას ამ საქმის შესახებ, რომ ერთხელ და სამუდამოთ მოისპოს ასეთი უთანხმოება ერთმანეთ შორის და კეთილ გზისაკენ მიგვითითონ, რადგანაც ასეთი კინკლაობა თვით საზოგადო საქმეს ავნებს.

„შეცდომის გასწორებაზე" მოგახსენებთ შემდეგს, ბ. „დნელო"!

რასაკვირველია, ჩვენ შორის მომხდარი კონფლიქტი საზოგადოთ დასაგმობია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ, როდესაც ერთ მხარეს სვამთ დამნაშავის სკამზე. მის მოწინააღმდეგის ავსა და კარგს მხარეებსაც უნდა შეეხოთ. ჩვენ ღრმათა ვართ დარწმუნებული, რომ ისინი ჩვენთან შეგნებულათ მოქცეულიყვნენ, არც ამდენი ალიაქოთი ასტყდებოდა და ყოველივე საქმე შეგნებულათ დაგვირგვინდებოდა.

1) მათ უნდა მოემართათ ჩვენთვის ამხანაგურათ და გაეცნოთ საქმის ნამდვილი ვითარება; 2) მუშტი-კრივით შეიძლება რომელიმე საქმეს საზღვარი დაედვას!?

ჩვენ არ ვამბობთ იმას, თითქოს მათ წინაშე ცამდი მართალი ვიყოთ.. მაგრამ დამერწმუნეთ, ბ. „დნელო", რომ ჩვენ თუ ერთი შეცდომა უნებლიეთ დავუშვით და „ფეხქვეშ გავსთელეთ" დემოკრატიული პრინციპი (როგორც თქვენ ამბობთ), მაშინ მათ ათჯერ და ოცჯერ ექნებათ ფეხქვეშგათელილი პატიოსანი მუშისა და საერთოთ მთელი დემოკრატიის სახელი (მე ვამბობ მთელ შტატზე 1—2 გამოკლებით), მაგრამ მათმა ასეთმა არამუშურმა საქციელმა წყნარათ ჩაიარა, იმისათვის, რომ ჩვენ არ ვიყავით საერთო ფერხულში ჩაბმული, თორემ ჩვენ დარწმუნებული ვართ მეტ მკაცრ სასჯელს დასდებდენ და მათ საქციელს არა პატიოსანი მუშის სახელს უწოდებდენ.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, ბ-ნო „დნელო"! დღეს, როდესაც მთელი კაცობრიობა სისხლის ზღვაში სცურავს და ამ უმაგალითო ომმა ათასგვარი საჭირბოროტო საკითხი წამოგვიყენა, ჩვენ ერთმანეთის კინკლაობითა და ერთმანეთის მტრობით განა შეგვიძლია რამეს გაკეთება!? განა ასეთი საქციელი მოსაწონია ორივე მხრიდან?

მე მგონია, არა

ჩვენ, პირიქით, მეტი შეკავშირება გვჭირია ასეთს აუტანელ პირობებში.

იმედი გვაქვს, რომ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ ჩვენი პროფესიისა და საზოგადოთ ადგილობრივი ამხანაგები და ერთხელ და სამუდამოთ მოსპობენ ჩვენ შორის ატეხილ დავას.

„სამშ." ამწ. ჯგუფის მინდობილობით
ას.-ამწ. აბე—დი.

## შემოწირულობა.

25 მაისს „სინათლის" საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ სეირნობისთვის შემოსწირეს:

ხოჯოლავამ 3 არშ. ჩითი, ბუზიაშვილმა ჭუდრი, მაწონაშვილმა ნაბდის ქუდი, მოშ. ხოტეველმა ფოლაქები, რიჟინაშვილმა 1 არშ. ჩითი, ქმონზერმა 6 ცხვირსახოცი, აშიანცმა პარსახოცი, 3 ცხვირსახოცი და წინდა, შატილიშვილმა თოკი, ნანიკაშვილმა 2 მაკატი, ფიზხაძე ბადლომ მშაკატი და საპონი, ხანანაშვილმა შბაკატი, სამსონ ბოკერიამ საკვე, ძმ. ფიჩხაძეებმა 3 არშინი ჩითი, გაბრიელ ციციაშვილმა 6 არშ. ჩითი, იაკობ სარიაშვილმა 1 კოვზი, მეკინულოვმა ფინჯანი, ხახნიშვილმა სასუხრე, თავდიდიშვილმა სათვერფლე, ჯანელიძემ მშაკატი, რუბენ ციციაშვილმა 3 არშ. ჩითი. ეფრაიმ ქუდი, ბახტაძემ ალბომი, პორტმონე და მარაო, კასუმოვმა 6 არშ. ჩითი, რაფაელ რიჟინაშვილმა სარუბაშკე, იაკობ ციციაშვილმა 3 არშ. ჩითი, ჭავჭავაძემ 2 წინსაფარი, 3 სალფეთ 12 ცხვირსახოცი, მამაჯანოვმა 1 ჩიქის დასადები, კრუშკა და ვაზა, ჟუფარაძემ 2 ოდეკოლონი, დედოფალა, 2 კასსა 1 სათამაშო.

ქ. რაზუმოვსკისამ 2 ქუდი, 2 ვაზა, 1 საწული, ბარბარე ჭეიშვილისამ 1 ბადადი ტყვლოსოვმა 5 გ. ბადი, №. № 3. გ. ხენდრო, ტუმელაშვილმა კულიჩი, ნ ლორთქიფანიძისამ, ს. ბარათაშვილმა, ნ. შენგელაიამ, და ბაბ ჩინჩალაძის ას. ყვავილები, ვ. სვანიძისამ პატარა აბრეშუმის სხვადასხვა ქვეყნის ბაირაღები. ი. გ. კემულარიამ კრიუშონის ჭურჭელი; სანოვაგე შემოსწირეს: ნოე კორძაიამ გოჭი, პური: ოჭანეზ ოსიპოვმა 1 ფუთი, ოც-ოცი გირვანქა იოსებ ფოფხაძემ, სერგეი ჩეროდვიანმა, და მამედ აჯიოღლიმ ათ-ათი გირვანქა დომენტი ბუაძემ, აკაკი კვახაძემ, პარმენ დოშიძემ, სერგო ცუცხაშვილმა და იაკინთე ბაბურაძემ.

ხორცი: ავეტის კიურკბათიმ $8^1/_2$., ბუტულოვმა 5 გ., ნოე გიორგაძემ 3 გ., ალექს. გიორგაძემ 4 გ., ანტონ კვიმსაძემ 4 გ, გიორგი გოგორიშვილმა 4 გ., ილიკო მირიჯანოვმა 3 გ., იოსებ არჯევანიძემ 4 გ., სიმონ ჯომარჯიძემ 3 გ., კოწია წულუკიძემ 4 გ., და იუსტინე ელიაშვილმა 3 გ., ფრანგულმა ძეხვის მაღაზიამ 2 გ. ძეხვი

ფულად შემოსწირეს: ელენე მახარაძემ (საბავშვო განყოფილებისთვის) 10 მ. კნ. ალექსანდრა ჩიქოვანისამ 5 მ., კნ. ანნა მიქელაძისამ 5 მ, აგნესა და ელენე თუმანიშვილებმა 4 მ., კნ. ნიცა წერეთლისამ 3 მ. ნადეჟდა მდივანისამ 3 მ, კოსტა ასათიანმა 2 მ., თავდიდიშვილმა 50 კ. და მოშიაშვილმა 25 კ. ეპისკოპოსმა გიორგიმ 10 მ, პეტრე გოკიელოვმა 10 მ., მარიამ ლომინაძემ 3 მ.

**გემბია** მ. მ. კოხრეიძე
ურცის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს
ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** ი. ჩარიძოვი ქალაქ. სავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით 11½— საათ. საღ. 8—8 საათ.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ... სახ.
ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**
პრივატდოცენტი
ვ. პ. მოსეშვილი
მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.
2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**
სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. „სამშობლოს" რედაქც.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"



**რკინის გზის მიმოსვლა.**
(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. | 5 წ |
| „ | — საღამ. | — 8 ს. | 55 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. | 45 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. | 25 „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს | 31 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. | 55 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. | 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. | 5 „ |
| „ | — ღამის | —12 ს. | 30 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. | 10 „ |
| „ | — დილის | — 6 ს. | — „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | 13 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. | 25 „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 6 ს. | 25 „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

**აბანო.**

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს ყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სა'მელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.
თ.

**სიფილისი.**

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დევეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)